წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, კვირა 9 ივლისი, 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, კვირა 9 ივლისი, 1906 წ.

№ 16. ყოველ დღიური გაზეთი № 16.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ, ექვსი თვით—2 მ. 50 კ, თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба„.

მოქალაქენო!

კვირას 9 ივლისს

ლგოტაკის ველოდრომზე

(მიხეილის ქუჩა, № 116)

დანიშნულია ბავშვების დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ

# სეირნობა

ლოტარეია-ალეგრით და ცეკვით.

მოქალაქენო, მობრძანდით ამ სეირნობაზე!

## ჩვენი უთანხმოება

II

### რევოლიუცია და რეფორმა.

მაშ ასე. მენშევიკები ამცირებენ, საკმაოთ ვერ აფასებენ მასის რევოლიუციონურ მოქმედებას, სამაგიეროთ მაღლა სწევენ და აზვიადებენ სათათბიროს მნიშვნელობას,—ისინი სათათბიროზე ამყარებენ თავიანთ იმედებს; ბალშევიკები კი უმთავრეს მნიშვნელობას მასის რევოლიუციონურ მოქმედებას აწერენ და ამაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს,—ისინი თითონ სათათბიროსგან ბევრს არაფერს ელიან.

აქედან თავისთავათ გამომდინარეობს ორი სხვა და სხვანაირი ტაქტიკა: ტაქტიკა რევოლიუციის და ტაქტიკა რეფორმების. ის ვინც სათათბიროს მნიშვნელობას აზვიადებს, ის ვინც ნაკლები იმედებით უყურებს მასის რევოლიუციონურ მოქმედებას,—ის დღეს თუ ხვალ უექველათ უნდა დაადგეს წვრილ-წვრილი რეფორმების გზას, ის უექველათ უნდა ცდილობდეს წვრილმან რეფორმებით დააზურდაოს რევოლიუცია, ასე დაემართა, მაგალითათ, ბერნშტეინს გერმანიაში და ჟორესს საფრანგეთში. ისინი ორივენი აზვიადებდნენ პარლამენტის მნიშვნელობას; ისინი ამბობდნენ, რომ პარლამენტარული მოქმედება, ჩვენი დეპუტატების გამრავლება და წვრილ-წვრილი საპარლამენტო რეფორმები ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც ჩვენ თანდათან პოზიციას პოზიციაზე წავართმევთ დღევანდელ კაპიტალიზმს, ნელნელა დავაცარიელებთ მას და ისე შეუმჩნევლათ მოვიყვანთ სოციალიზმს, რომ ვერც კი გაიგოთ,—სოციალისტური რევოლიუცია მეტი ბარგიაო. ასევე ემართებათ დღეს ამხ მენშევიკებს. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია მათი შეხედულება კადეტების მხარის დაჭერაზე. კადეტები პასუხისმგებელ სამინისტროს ითხოვენ რეაქციისაგან. ისინი არ უარჰყოფენ რეაქციას, ისინი არ ცდილობენ მის ძირიანათ დანგრევას, ისინი მხოლოთ პაწია რეფორმას სთხოვენ დღევანდელ რეაქციას, მათ მხოლოთ რეაქციის, ძველი მთავრობის შეპაჩინკება უნდათ. ამხ. მენშევიკები (ზოგიერთების გარდა) მხარს უჭერენ ამ მოთხოვნას, ისინი დღიურ ლოზუნგათ ისვამენ ამ მოთხვნას და, მაშასადამე, თავის მოთხოვნათ აღიარებენ. რატომ იქცევიან ასე ამხ. მენშევიკები? იმიტომო, გვებუნებიან ისინი, რომ კადეტების სამინისტრო „ძირიანათ შლის თვითმპყრობელობას“ (იხ. „ლამპ.“ № 51), იმიტომ, რომ კადეტების სამინისტროს შედგენა „თვითმპყრობელურ კედლის გვერდის შენგრევააო“ (იხ. იქვე). ე. ი. პაწია რეფორმებით ნიადაგს გამოვაცლით დღევანდელ წესებს, ნელნელა გამოვაცარიელებთ დღევანდელ თვითმპყრობელობას და ამგვარათ, შეუმჩნევლათ შევალთ პოლიტიკურ თავისუფლებაშიო. ამხ. მენშევიკებს ისლა აკლიათ, რომ ბერშტეინივით გადმოგვძახონ: რევოლიუცია და სხვა მაგისთანა „კატასტროფები“ მეტი ბარგიაო! აქაც იგივე გამოცალიერების თეორიაა. რუსეთის ოპორტუნისტები ფეხდა-ფეხ იმეორებენ ევროპის ოპორტუნისტებს. ბერშტეინი და ჟორესი სცდებოდენ, როცა რეფორმებით ცდილობდენ კაპიტალიზმის დანგრევა-დაცალიერებას, ისინი წვრილ რეფორმებზე ახურდავებდნენ სოციალისტურ რევოლიუციას და მით აჩლუნგებდნენ კლასთა წინააღმდეგობას, თავის და უნებურათ აბნელებდნენ პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნებას,—ეს ძალიან კარგა დაამტკიცეს კაუცკიმ და ბებელმა გერმანიაში, გედმა და ლაფარგმა საფრანგეთში. ამიტომ დაარქვეს მათ ოპორტიუნისტები. ამხანაგი მენშევიკები სცდებიან, როცა რეფორმებით ფიქრობენ „თვითმპყრობელობის მოშლას“, ისინი წვრილ რეფორმებზე ახურდავებენ რუსეთის რევოლიუციას და მით თავისდა უნებურათ აფუჩეჩებენ კლასთა წინააღმდეგობას, თავის და უნებურათ აბნელებენ მუშების კლასიურ და გლეხების რევოლიუციონურ თვითშეგნებას,—ამას შეძლებისა დაგვარათ ამტკიცებენ ამხ. ბალშევიკები. ამიტომ ეძახიან მათ ოპორტიუნისტებს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ ოპორტიუნისტები შეაჩერებენ რევოლიუციას,—ისინი მხოლოთ ხელს უშლიან მის აჩქარებულ მოძრაობას; ეს, რა თქმა უნდა, არც იმას ნიშნავს, რომ ვითომ რევოლიუციონური სოციალდემოკრატები უარჰყოფენ რეფორმებს,—როგორც ამას აბრალებდნენ ოპორტიუნისტები კაუცკის და გედს, როგორც ამას აბრალებენ ამხ. მენშევიკები ამხ. ბალშევიკებს,—ეს მხოლოთ იმასა ნიშნავს, რომ რეფორმასაც და რევოლიუციასაც თავთავიანთი დრო აქვთ, რომ თავი და თავი იარაღი რევოლიუციაა, და არა რეფორმა. მენშევიკების შეცდომას-კი ამგვარათ ასურათებენ ბალშევიკები. კადეტების სამინისტრო ვერ შლის და ვერც მოშლის იმ ბატონყმურ ნაშთებს და იმ კამარილას, რომლებიც თვითმპყრობელობას ასაზრდოებენ—რაც სათათბირომ ვერ ქნა, იმას ვერც მისგან არჩეული სამინისტრო იზამს; პირიქით, კადეტების სამინისტრო ერთნაირათ სულს ჩაუდგამს დაუძლურებულ თვითმპყრობელობას, ერთგვარ ნდობას მოუპოვებს პირ-სისხლიან რეაქციას და საშვალებას მისცემს ერთხელ კიდევ იშოვოს მან საჭირო სისხი; ამავე დროს კადეტების სამინისტრო, რომელიც ერთგვარ შერიგებას ახდენს სხვილ ბურჟუაზიას და რეაქციას შორის, რომელიც ძველი მთავრობის ახალი „ვივესკაა“ და მის სისხლიან სახეს ფარავს,—ეს სამინისტრო ხელს შეუშლის კლასთა წინააღმდეგობის გაალმასებას, და ჩვენი მხარის დაჭერა-კი ამ ხელის შეშლის მონაწილეთ გაგვხდის, კონკრეტიულათ-კი ბევრს არაფერს მოუმატებს დღევანდელ ვითარებას. ამიტომ ამგვარი მოთხოვნის მხარის დაჭერა ხელს შეუშლის მუშათა კლასიური შეგნების განვითარებას.

აი, პრაქტიკულათ, რა ფორმაში ჩამოყალიბდა ჩვენი უთანხმოება.

სად არის სათავე ასეთი უთანხმოების?

**კობა.**

---

## სადღეისო კითხვები.

### სათათბირო ლაყბობს, რევოლიუცია იზრდება...

აღარ უცდის სათათბიროს რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა.. კადეტების ტკბილი ჭიკჭიკი ბეზრდება რევოლიუციას. დღითი დღე მატულობს ხალხის რისხვა და გაბოროტება. დეპეშები სავსეა ისეთი ამბებით, რომელიც ნათელ-ჰყოფს მიითმინებიდან გამოსულ რუსეთის სულის კვეთებას. პროლეტარიატის გაფიცვები, უსაქმოთ დარჩენილების მღელვარება, გლეხთა მოძრაობა—ეს ერთი მეორეზე მრისხანე და ძლიერი პროტესტი ყბათ ასაღები „პარლამენტის“ უმოქმედობის წინააღმდეგ ქუხს და გრავინავს რუსეთის დაუსრულებელ სივრცეზე. რევოლიუცია დასცინის, თავს დახარხარებს სათათბიროს, მედგრათ მიიწევს წინ... სათათბირო კი ერთ ალაგს დგას გაქვავებული. მანძილი ხალხსა და „პარლამენტს“ შორის თან და თან მატულობს...

კადეტების სალაყბო ვერ გრძნობს ყველა ამას, ვერ გრძნობს და ყოვლად უმზგავსო საჩუქარს უმზადებს ხალხს. გუშინდელი დეპეშა იტყობინება, რომ სათათბირომ უკვე შეიმუშავა და დაამტკიცა, აგრარულ საკითხის შესახებ „ხალხის მიმართ მოწოდება“. მოწოდება ნამდვილი კადეტურია. კადეტური მოწოდება აგრარულ საკითხის შესახებ!

მემამულეების აზრი უმიწაწყლო გლეხებთა ინტერესების შესახებ... ეს იმას უდრის, მგელმა რომ ცხვრების ინტერესებზე დაიწყოს ზრუნვა. აღსრულდა! კადეტები ამ მოწოდებით სჭედავენ და მიწას აყრიან ხალხის ცრუ იმედების კუბოს. ცეცხლის ალში გახვეული გლეხობა ახლა აშკარათ დაინახავს ნიღაბ-ახდილ კადეტებს. სათათბირომ შეასრულა თავისი ვალი, ჯერი თვით ხალხზე მიდგა...

---

## პრესა

მუშა ხუნხუზი („სიმართლის“ მე-4 №-ში) მოუწოდებს კავკასიის მუშებს, რომ მათ „გამოიყვანონ პარტია იმ ორჭოფ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩრდილოელმა ამხანაგებმა ჩააგდეს. საიდან წარმოიშვა ასეთი ორჭოფი მდგომარეობა? იქიდან, რომ ჩრდილოეთის მუშათა დიდძალმა უმეტესობამ უარჰყო ცენტრ. კომიტეტის რეზოლიუცია, და მის მაგივრათ მიიღო პეტერბურგის კომიტეტის რეზოლიუცია.

,,მთელი პარტიის საკანონმდებლო ორგანო არის სიეზდი, რომლის დადგენილებასაც უნდა ემორჩილებოდეს პარტიის ყოველი წევრი. სიეზდის დადგენილებას ახორციელებს ც. კ... ც. კ. უნდა იმუშავოს საერთო ლოზუნგს და საერთო ტაქტიკას''.

და „ყოველი წევრის“ მოვალეობა კი ის არის რომ კრინტ-დაუძრელათ აწერდეს ხელს მის რეზოლიუციას. საკუთარი აზრის ქონა—ეს მეტი ბარგია, ეს პარტიული დისციპლინის დარღვევაა, ეს პროლეტარიატის ღალატია. სწორეთ ასეთი დასკვნა გამოდის მუშა **ხუნხუზის** წერილიდან. ასევე ესმის ეს თვით „სიმართლის რედაქციასაც. იგი შენიშვნას უკეთებს ამ წერილს და გამოსთქვამს:

„სასურველია მუშებმა რაც შეიძლება მხურვალე მონაწილეობა მიიღონ **ფრაქციათა უთანხმოების** მოსპობაში''.

„უთანხმოება“ იდეურ სფერას შეეხება და სწორეთ აქ უნდათ მუშა ხუნხუზსაც და „სიმართლის“ რედაქციასაც სასურველი ერთნაირობა, ჰარმონია დაამყარონ. მაგრამ ეს ხომ უარჰყოფს ყოველგვარ კრიტიკას პარტიაში, რაც **პარტიის სიკვდილს** მოასწავებს. რაც შეეხება პარტიის მოქმედების ერთიანობას, განხეთქილების უარყოფას და ერთ ორგანიზაციაში მუშაობას—ეს ასეც უნდა იყვეს და უამისოთ შეუძლებელია პარტიის ცხოვრება.

მაგრამ თუ პარტიის უმრავლესობა აშკარათ ეწინააღმდეგება ც. კ.—შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე, მაშინ რა უნდა ვქნათო, გვეტყვიან: ც. კ. ხომ აღმასრულებელი ორგანოა იმ სიეზდისა, რომელიც პარტიის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ც. კ. ვერ ხატავს პარტიის სურვილებს და მაშინ მან ორში ერთი უნდა ქნას: არ შეეთანხმოს პარტიის სურვილებს, რომელიც გამოიხატა ჩრდილოეთის კონფერენციებზე, ან მოიწვიოს

სიეზდი და ჩააბაროს მას თავისი უფლებები. თქვენ ერთი სიტყვაც არ დახარჯეთ იმის დასამტკიცებლათ, რომ პეტერბურგის კომიტეტმა სიეზდის დადგენილებას გადაუხვია თავის რეზოლიუციაში და ამავე დროს დისციპლინის დარღვევას თამამათ გვიკიჟინებს.

ამ სტატიაში სხვათა შორის ასეთი მარგალიტებიცაა.

ბალშევიკები... ვერ გამოეყვნენ მაშინ (სიეზდის დროს) პარტიას, რადგან ეში ნოდათ ცარიელზე არ დაშხდარიყვნენ და აი, ეხლა მიყვეს ხელი პარტიაში თავიანთი მომხრეების მობილიზაციას, რომ მომავალში „ყოველ შემთხვევისათვის“ მზათ იყვნენ.

ე. ი. ბალშევიკებს გულში რასკოლი აქვთ გადაწყვეტილი და დღეს პარტიაშიაც იმ ბოროტი განზრახვით არიან, რომ მეტი მუშები გაიყოლიონ რასკოლის დროს. სხვის გულში ასეთი უკადრისი ხელების ფათური არ ეპატიება არავის და მეტადრე მას, ვისაც ამაზე არც ერთი საბუთი, არც ერთი ფაქტი არა აქვს! აი ჩვენ კი შეგვეძლო გვეკიჟინებია და კიდევაც გიკიჟინეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მენშევიკები თავ-გამოდებით მუშაობენ, რომ პარტიაში რასკოლი ჩამოვარდეს. სხვათა შორის მუშა ხუნხუზიც ამ მოსაზრებასაც აშკარათ გვიყენებს თვალწინ.

„ჩვენ უნდა გადაწყვეტილი წინადადება მივცეთ პარტიულ ცენტრებს, რომ მათ მთელი პარტიის სახელით მიმართონ პარტიაში მოწინააღმდეგე ნაწილს (მის უმეტესობას? რედ.), მოაგონონ პარტიული მოვალეობა და უთხრან: ორში ერთი აირჩიეთ: ან გაერთიანებული პარტია, ერთი ტაქტიკით, ერთი გზით და ცალკე მოქმედების (?) უარყოფა, ან ფორმალურათ განაცალკევება“.

ჩვენ გვგონია, რომ ც. კ. რასკოლის გზას არ დაადგება და ურასკოლოთ მოახერხებს ამ „ორჭოფ მდგომარეობას“ თავი დააღწიოს. მაგრამ ამ შემთხვევაში საით მიერეკება მუშა ხუნხუზი კავკასიის მუშებს? თუ მას ბალშევიკები ბლანკისტებათ მიაჩნია და მათი პარტიაში ყოფნა ვერ აუტანია და თუ მეორე მხრით, ც. კ.-მა ისინი პარტიიდან არ გარეკა, რა დარჩენია მუშა ხუნხუზს და მის თან მოაზრეთ იმის მეტი, რომ ურჩიონ კავკასიის მუშებს, — ზურგი შეაქციეთ ცენტრალურ კომიტეტსაც, მთელ პარტიასაც, ჩამოშორდით მათ და საკუთარი „კავკასიის პარტია“ დაიარსეთო. ჩვენი გულწრფელი და ღრმა რწმენაა, რომ კავკასიის მუშები ამ გზით არ წავლენ და ვისაც სხვანაირათ გონია — ცდება.

## სახ. სათათბიროში გაგზავნილი დეპეშები.

თავმჯდომარეს მურომცევს, დეპუტატებს ბარათაშვილს და ჟორდანიას.

ჩვენ, თბილისელი ქალები, ეროვნების განურჩევლათ, მწარე ცრემლს ვაფრქვევთ მხეცურად მოკლულ საუკეთესო ადამიანის და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის გვამზე და ვაცხადებთ ჩვენ ღრმა ზიზღს უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებელთა დაჭრის გამო, იმ მასწავლებელთა, რომელნიც შეიკრიბნენ მშვიდობიან საქმისთვის — თავიანთ საჭიროებათა განსახილველად. მოვითხოვთ დაუყონებლად სასტიკ გამოძიებას, მკვლელთა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალში მიცემას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სახელმწიფო სათათბიროს ჩვენის შვილების, ძმების, მამების, მამების და დედების დაცვა ისეთ ბოროტ-მოქმედებისაგან, რომელსაც სჩადიან შურის მძიებელ და გაბოროტებულ მთავრობის აგენტები, იმ მთავრობისა, რომელიც მზად არის თავისუფლების დასახშობად მთელი ქვეყანა სისხლით მორწყოს.

ხელს აწერს 563 ქალი.

ასეთივე შინაარსის დეპეშები გაიგზავნა სახელმწიფო დუმაში ბევრ სხვა დაწესებულებისაგან.

გუშინ დეპეშა მოვიდა, რომ კავკასიის რამდენიმე დეპუტატებმა ილაპარაკეს დუმაში ამ საზიზღარ მკვლელობის შესახებ.

# დ ე პ ე შ ა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.** 7 ივლისი. დახურეს: „ეხო“, „გოლოს ტრუდა“, „კრესტიანსკი დეპუტატი“, „მისლი“, „ობრივი“. სტამბები დაბეჭდეს. თანამშრომლები დაატუსაღეს.

**გაკურიანი.** ადგილობრივ მოაგარაკეთა გუნდი ფრიად შეაწუხა პატიოსანის, ნიჭიერის და ენერგიული საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის უდროო დაკარგვამ. ამ უმიზეზო მხეცურმა მკვლელობამ ზიზღი და აღშფოთება გამოიწვია მკვლელებისადმი. ჩვენ გვრწამს, რომ, რაც უფრო მეტი მსხვერპლი შეეწირება ხალხის განთავისუფლების საკურთხეველზე, მით უფრო მედგარი და თავდავიწყებული თავისუფლებისათვის ბრძოლა, მით უფრო ძლიერია ხალხის სიძულვილი და ზიზღი ულმობელ რეჟიმისადმი, რომელიც უტიფრათ დასცინის ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

# ახალი ამბები

◆ **შიო ჩიტაძის დასაფლავება** გუშინ, დილას კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე წირვა-პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაასაფლავეს 4 ივლისს მხეცურათ მოკლული **შიო ჩიტაძე.** განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინებიამკობდა. გვირგვინების უმეტესობა წითელი ლენტებით იყო შემკული. კუბოს დიდძალი ხალხი გაჰყვა სასაფლაომდის. დასაფლავების დროს წარმოსთქვეს სიტყვები ვ. გუნიამ, ჯანდიერმა, სომეხ მასწავლებელ ქალთა წარმომადგენელმა, თელავის ს. ფედერალისტების წარმომადგენელმა და სხვ. გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვეს ჯანდიერმა, ამხანაგმა ქ—ძემ თავის მოკლე და მძლავრ სიტყვაში ნათლათ დაახასიათა განსვენებულის პიროვნება და დაასურათა რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა. ილაპარაკა აგრეთვე ამხ. ლასა გელაძემ.

◆ **ნიკო ბაიძე** აცხადებს, რომ სამართლიანათ სცნობს ბიჭების მოთხოვნას და დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს მათ.

◆ **ბოიკოტი.** ერთის კვირის წინეთ გაფიცვა გამოაცხადეს თფილისის წიგნების მკაზმავ სახელოსნოების მუშებმა. სახელოსნოების პატრონთა უმრავლესობამ მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილა და გუშინ მუშაობა დაიწყეს; სამი სახელოსნოს პატრონი კიმეფერტი, პარსეგოვი, ფეოდორ რეგერი არ აკმაყოფილებენ მუშების სამართლიან მოთხოვნას. ამიტომ თფილისის წიგნის მკაზმავ სახელოსნოების მუშებმა დაადგინეს გამოეცხადოს ბოიკოტი ამ სამ სახელოსნოს და აუწყებენ ამხანაგებსა და მოქალაქეთ მხარი დაუჭირონ ამ დადგენილების და გასწყვიტონ ყოველივე კავშირი ზემო დასახელებულ მეფერტის, პარსეგოვის და ფ. რეგერის სახელოსნოებთან.

◆ მებრძოლი რაზმის. ს. რევოლიუციონერებისა აცხადებს, რომ პოლიცმეისტერ მარტინოვის მოსაკლავათ ყუმბარის გადაგდება ჩვენი წევრების საქმეა და მოკლული შიო ჩიტაძე და დაჭრილნი ლლონტი აქ არაფერ შუაში არიანო.

◆ როგორც „სიმართ.“ გაუგია, სათავად-აზნაურო გიმნაზიაში 4 ივლისს დაჭერილი მასწავლებლებს ხ. ლლონტსა, აბულაძეს და სხვებს მალე გაანთავისუფლებენ, რადგან ვერავითარ ბრალდებას ვერ უმტკიცებენ.

◆ თფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) მიემატოს ამ წლის 1 მაისიდან

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ანარხიზმი თუ სოციალიზმი? *)

### II

### დიალექტიური მატერიალიზმი.

როგორ უყურებენ ანარხისტები მარქს-ენგელსის მონისტურ მატერიალიზმს?

თუ მარქსის დიალექტიკა ჰეგელიდან მომდინარეობს, სამაგიეროთ, მისი მატერიალიზმი ფეიერბახის მატერიალიზმის განვითარებაა. ეს კარგათ იციან ანარქისტებმა და ცდილობენ ჰეგელ-ფეიერბახის ნაკლულევანებით გააშავონ მარქს-ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჰეგელის შესახებ, რომ ანარქისტების ასეთი ფანდები ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, გარდა მათივე პოლემიკური უძლურებისა. ესევე უნდა ვთქვათ ფეიერბახის შესახებ. აი მაგალითათ, ისინი ძალიან ხაზს უსვამენ, რომ „ფეიერბახი პანტეისტი იყო“... რომ მან „კაცი გააღმერთა“... (იხ. „ნობ.“ № 7 დ. დელენდი) რომ ფეიერბახის აზრით კაცი ის არის, რასაც ის სჭამს“... რომ აქედან მარქსმა ვითომ შემდეგი დასკვნა გამოიყვანა: „მაშასადამე, უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობაა“ და სხვა (იხ. „ნობ.“ № 6. შ. გ.). მართალია, ფეიერბახის პანტეისტობაში, მის მიერ კაცის გაღმერთებაში და სხვა ამისთანა შეცდომებში ჩვენგანს ეჭვი არავის შეაქვს — პირიქით — მარქსმა და ენგელსმა პირველათ გამოააშკარავეს ფეიერბახის შეცდომები, მაგრამ ანარქისტები მაინც საჭიროთ სცნობენ კიდევ „გამოააშკარავონ“ უკვე გამოაშკარავებული ფეიერბახის შეცდომები. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ფეიერბახის ძაგებით გააშაონ როგორმე მატერიალიზმი, რომელიც ფეიერბახისაგან ისესხა მარქსმა და შემდეგ მეცნიერულათ განავითარა. განა არ შეიძლებოდა ფეიერბახს ცუდ აზრებთან კაი აზრებიც ჰქონოდა? ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი ფანდებით ოდნავაც ვერ შეარყევენ მონისტურ მატერიალიზმს, — ამით ისინი მხოლოთ საკუთარ უძლურებას დაამტკიცებენ.

თვითონ ანარხისტებში სხვა-და-სხვანაირი აზრი სუფევს მარქსის მატერიალიზმზე. ვ. ჩერქეზიშვილს რომ ჰკითხოთ, მარქსსა და ენგელსს სძულდათ მონისტური მატერიალიზმი, ასე რომ მათი მატერიალიზმი უბრალო მატერიალიზმი იყო, და არა მონისტური: „ის დიდი მეცნიერება ნატურალისტებისა თავის ევოლიუციის სისტემით, ტრანსფორმიზმით და მონისტური მატერიალიზმით, რომელიც ძლიერ სძულდა ენგელსს... გვერდს უვლიდა დიალექტიკას“ და სხვა (იხ. „ნობ.“ № 4 ვ. ჩერქეზიშვილი). გამოდის, რომ საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი, რომელიც ჩერქეზიშვილს მოსწონს და რომელიც ენგელსს სძულდა, მონისტური ყოფილა. მეორე ანარხისტი კი გვებნება, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი მონისტურია და ამიტომ ღირსია უარყოფისო: „მარქსის ისტორიული კონცეპცია ჰეგელის ატავიზმია. აბსოლუტური ობიექტივიზმის მონისტური მატერიალიზმი საზოგადოთ — კერძოთ ეკონომიური მონიზმი მარქსის შეუძლებელია ბუნებაში და შემცდარია თეორიაში... მონისტური მატერიალიზმი ცუდათ დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის“... (იხ. „ნობ.“ № 6 შ. გ.). გამოდის, რომ მონისტური მატერიალიზმი დასაწუნი ყოფილა, მარქსსა და ენგელსს არ სძულებიათ იგი, პირიქით, თვითონვე ყოფილან მონისტური მატერიალისტები, რის გამოც უნდა უარყოთ მონისტური მატერიალიზმი. აი ანარხია! ჯერ თვითონაც ვერ გაურკვევიათ მარქსის მატერიალიზმის ავკარგიანობა, ჯერ თვითონაც ვერ გაუგიათ მონისტურია ის თუ არ არის მონისტიური, ჯერ თვითონაც ვერ შეთანხმებულან მის ღირსება-ნაკლულევანებაზე და ჩვენ კი კვეხნით ცხვირი გაგვიხვრიტეს: მარქსის მატერიალიზმს ვაკრიტიკებთ და მიწასთან ვასწორებთო. აქედანვე ეტყობა, თუ რამდენათ საფუძვლიანი იქნება მათი „კრიტიკა“.

დავყვეთ ქვემოთ. ზოგიერთა ანარხისტებს არცკი სცოდნიათ, რომ მეცნიერებაში სხვა-და-სხვანაირი მატერიალიზმი არსებობს და მათშორის დიდი განსხვავებაა: არის, მაგ., ვულგარული მატერიალიზმი (ბუნების მეტყველებაში და ისტორიაში), რომელიც უარჰყოფს იდეალური მხარის მნიშვნელობას და მის ზედგავლენას მატერიალურ მხარეზე; სამაგიეროთ, არის ეგრეთ წოდებული მონისტიური მატერიალიზმი, რომელიც მეცნიერული თვალით უყურებს იდეალური და მატერიალურ მხარის ურთიერთობას. ზოგიერთი ანარხისტები ყველა ამას ერთმანეთში ურევენ და ამავე დროს რიხიანი არხეინობით გვეუბნებიან: გინდა თუ არა საფუძვლიან კრიტიკას ვუშვრებით მარქს-ენგელსის მატერიალიზმსო. ყური დაუგდეთ: „ენგელსის აზრით და აგრეთვე კაუცკის აზრითაც მარქსმა დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას იმით, რომ მან“... სხვათა შორის „მატერიალისტური კონცეპცია“ აღმოაჩინა. „მართალია ეს? ჩვენ არ გვგონია, რადგან ვიცით... რომ ყველა ის ისტორიკოსები, მეცნიერები და ფილოსოფოსები, ვინც კი აღიარებდა ისეთ აზრებს, რომლითაც საზოგადოებრივი მეხანიზმი მოჰყავს მოძრაობაში გეოგრაფიულ, კლიმატიურ — ტელურიულ, კოსმიურ, ანტროპოლოგიურ და ბიოლოგიურ პირობებს, — ყველა ესენი მატერიალისტები არიან“ (იხ. „ნობ.“ № 2 შ. გ.). მოდი და ელაპარაკე ამათ! გამოდის, რომ არისტოტელის და მონტესკიეს „მატერიალიზმს“ შორის, მარქსისა და სენ-სიმონის „მატერიალიზმს“ შორის განსხვავება არ არის. აი ამასა ჰქვია მოწინააღმდეგის გაგება და მისი საფუძვლიანი გაკრიტიკება!...

ზოგიერთ ანარხისტს კიდევ სადღაც ქუჩაში გაუგონია, რომ მარქსის მატერიალიზმი „კუჭის თეორიააო“ და მიჰყოლია ამ „აზრის“ პოპულარიზაციას ალბათ იმ აზრით, რომ ქაღალდი ძვირი არაა „ნობათის“ რედაქციაში და იაფათ ჩაუვლის ეს ოპერაცია. მოისმინეთ: „ფეიერბახის აზრით კაცი ის არის რასაც სჭამს. ამ ფორმულამ მარქსზე და ენგელსზე ისე იმოქმედა, როგორც ჯადომ“, და აი, ანარხისტების აზრით აქედამ მარქსმა დაასკვნა, რომ „მაშასადამე უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობა, წარმოებითი ურთიერთობა არისო“... შემდეგ ფილოსოფიურათ გვა-

*) იხ. „ახ. ცხ.“ № 7.

5 მანეთი ჯამაგირი ყველა დაბალ მოსამსახურეთ, მზარეულთ, მუშებს, და სხვებს ქალაქის საქალებო და სენით გადამდებ საავადმყოფოებისა, სულით ავადმყოფთა თავშესაფარისა, მშობიარე ქალთა თავშესაფარისა ამბულატორიისა და ლაბრატორიისა. წელს ეს ჯამაგირი მოემატებათ იმ ფულიდან, რომელიც გადადებული იყო ქალაქის სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვით სასანიტარო—საექიმო ნაწილის შესანახავათ. მომავალ წელს კი მომატებული ჯამაგირები შეტანილ უნდა იქნმნას ხარჯთ-აღრიცხვაში. 2) დაევალოს ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებათა გამგეთ, ახლავ იზრუნონ ყველა მოსამსახურეებისა და მუშებისათვის შეიძინონ როგორც საზაფხულო ისე საზამთრო ტანისამოსი.

✦ იმ აღმასრულებელ კომისიაში, რომელმაც უნდა განაგოს კ. ი ზუბალაშვილის სახელობაზე აშენებული სახალხო სახლი, თფილისის საბჭო ნიშნავს ნაღდ ვილ წევრებათ: ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოებათა და სიფხიზლისა და სახალხო კითხვების მომწყობ საზოგადოებათა წარმომადგენლები. ამიტომ ქალაქის თავი სთხოვს ზემო დასახელებულ საზოგადოებათ აცნობონ მას, თუ ვის ასახელებენ თავის მხრივ წარმომადგენლათ ამ კომისიაში.

✦ გაზ. „შრომას" ატყობინებენ ალექსანდროპოლიდან, რომ იქაურ ჯარში ისევ დაიწყო რაღაც ჩოჩქოლი. 4 ივლისს ბანაკათ მდგომ საპიორების ერთ ნაწილს თოფები ჩამოართვეს. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ მთავარ საწყობიდან დაკარგულიყო რამდენიმე ათი თოფი, რევოლვერი და აუარებელი პატრონა. წამლებნი არ სჩანან.

✦ 7 ივლის ღამით, სამს საათზე სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი შეიჭრენ მასალოვის სახლში, მაგრამ ვერაფერი წაიღეს, რადგან ყვირილზე გაიღვიძეს მეზობლებმა და მიცვივდენ საშველათ.

✦ თფილისის ამომრჩევლებმა ქალაქის საბჭოს წარუდგინეს განცხადება, რომელშიაც სთხოვენ დახმარება აღმოუჩინონ სამკითხველოების, ლექციების და სხვა ასეთ დაწესებულებათა მოწყობის საქმეში. ამომრჩეველთ აზრათ აქვთ ასეთ დაწესებულებათა საშუალებით იბრძოლონ სომეხ-თათართა შორის არსებულ მტრულ განწყობილების წინააღმდეგ, ავრცელონ მათ შორის მშვიდობიანობის და სოლიდარობის იდეია. ამ მრჩეველთ აზრათ აქვთ ამავე საქმის დასახმარებლათ მოწოდებით მიმართონ საზოგადოებას.

✦ დღეს 11 საათზე თვითმართველობის სადგომში უსაქმოთ დარჩენილი ინტელიგენტებისათვის წაიკითხვენ ლექციას, თუ როგორ მოეწყოს ქალაქის სასანიტარო სტატისტიკური აღწერა.

✦ უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურო მოიწვევს იმ ჩაწერილ ინტილიგენტებს, რომელთაც მოწმობა არ მიუღიათ, გამოცხადდენ ასეთების მისაღებათ. 10 ივლისს 9 საათიდან პუშკინის სასწავლებელში ორბელიანის ქუჩაზე. ვინც 12 საათამდე არ გამოცხადდება, ის ჩარიცხული იქნება კანდიდატათ, ხოლო მის ადგილზე მიღებულ იქნება სხვა. ამის შემდეგ განცხადების შეტანა და ჩაწერა გამართული იქნება პუშკინის სასწავლებელში.

✦ პოლიციურ ხრიკების გამო ვერ შესდგა ელექტრო-მეხანიკური და გამნათებელ წარმოების მუშათა კრება, რომელზედაც პროფესიანალური კავშირი უნდა შემდგარიყო.

✦ ფოთიდან გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გადაითარგმნა ქართულათ და ახლო მომავალში დაიბეჭდება ა. ვოლოგდინის ბროშურა—„რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში."

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის № 14 მუშათა განყოფილებაში შემდეგი შეცდომა შეპარულა. „თფილისის მეწაღეების და შეგირდების მოთხოვნა" უნდა იყოს: „თბილისის საპოჟნიკების შეგირდების მოთხოვნა. მეორე ადგილას კი სადაც სწერია: „ავლაბრის საპოჟნიკების მოთხოვნები" უნდა იყოს. „ავლაბრის პარიკმახერების შეგირდების მოთხოვნები".

# კავკასია

**ქოდალოს საზოგადოება** (გარეთ კახეთი). 20 თიბათვეს ქოდალოს რაიონის გლეხებმა მემამულეებს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს:

1. ნადელები დაეთმოთ სრულ საკუთრებათ.

2. იმ მიწიდან, რომელსაც დაიმუშავებს გლეხი, უნდა აძლიონ მემამულეს მეშვიდედი შემოსავლისა, ხოლო მემამულემ მინდორშივე უნდა მიიღოს თავისი ხვედრი.

3. თივიდან მემამულეს მიეცეს მეოთხედი.

4. უსასყიდლოთ დაეთმოთ გლეხებს საბალახე.

5. უსასყიდლოთვე დაეთმოთ: შეშა, ფიჩხი, სარი, ქვიშა და ნარიყი. ამ მოთხოვნილების წარდგენიდან 25 თიბათვემდის ვადა დაუდვეს პასუხის მიღებისათვის. ამასთანავე განაცხადეს; აღნიშნულ ვადამდის თუ არ დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნა ბოიკოტს გამოგიცხადებთო.

ამ მოთხოვნილებაზედ მემამულეებმა უარი განაცხადეს, ხოლო გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, და მიწის ღალას მემამულეებისას ადგილობრივ სტოვებენ, ხოლო თავისას ეზიდებიან შინ. ამაზედ მემამულეებმა პოლიციას მიმართეს. შედეგი ჯერ არა ჩანს.

**ფოთი.** რუსეთის საზოგადო კრიზისმა და მასთან რეაქციის სიმწვავემ ფოთშიც გაამრავლა უმუშავართა რიცხვი. ორ ივლისს აქ მოხდა ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით უმუშევართა მიტინგი. მიტინგს დაესწრო რამდენიმე ასი მუშა, ილაპარაკეს მუშებმა საზოგადოთ თუ ჯერ რა მდგომარეობაშია ადგილზე მყოფი მუშები, და რა მდგომარეობაში იქმნება ის მუშა რომელსაც არაფერი კერძო საკუთრება არ აქვს და მასთან თავის სამუშაო ძალა ვერ გაუყიდია ბაზარზე. ილაპარაკა ერთმა ამხანაგმა, რომელმაც განუმარტა რუსეთის საზოგადო კრიზისი და მათი უმუშევრობის ნამდვილი მიზეზი, დაასურათა დღევანდელი მომენტი, და აუხსნა ის საშუალებები, რომელსაც დღეს ხელს გვდებს უმუშევრად დარჩენილ რუსეთის პროლეტარიატი. ამოირჩიეს დროებით ბიურო. დაავალეს ბიუროს წევრეს: 1) გამოსძებნონ უმუშავრად დარჩენილი მუშების რიცხვი, და მათი მდგომარეობა. 2) მოსთხოვოს ქალაქის თვითმართველობას საზოგადოებრივი სამუშაოს მოწყობა, 3) და მომავალ კვირისათვის მოახდინონ მიტინგი.

ვნახოთ რა ზომებს მიიღებს ადგილობრივი თვითმართველობა უმუშევართა შესახებ.

**ივლიანე ჩხიკვაძე**

რაჭაში ამ დღეებში თავს დასხმიან მერაბ წერეთელს, გამოუხმიათ კარში, მაგრამ მას შეშინებია და ვერ გაუბედავს გამოსვლა. თავდამსხმელთ მისი უზარმაზარი ქვითკირის სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ და როცა სახლს უკვე მოსდებია ცეცხლი ის გამოვარდნილა ბალკონზე, ამ დროს დაუხლიათ თოფები მოუკლავთ. ამბობენ რომ ჯაშუშობასაც არ კმარობდა რეაქციის დროს მეტის მეტად გაუჭირა გლეხებს საქმე: მაინც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა რაჭისკენ მაგვარი მკვლელობები...

ქუთაისიდან გვწერენ: ბენია ჩხიკვიშვილი საგუბერნიო ციხიდან სამხედრო გაუპტვახტში გადაიყვანეს, რადგან ტუსაღებში აგიტაციას აბრალებენ.

**ბარონ.**

სწავლიან ანარხისტები: „თქმა იმისი, რომ ერთათ ერთი საშვალება ამ მიზნისა (ცხოვრების) ჭამა და ეკონომიური წარმოება არისო, შეცდომა იქნება... ჭამა და ეკონომიური მდგომარეობა რომ უმთავრესათ მონისტურათ იდეოლოგიის გამსაზღვრელი იყოს, მაშინ ზოგიერთა ბელტიყლაპია გენიოსები იქნებოდნენ" (იხ. „ნობ." № 6 შ. გ.). აი თურმე რა ადვილი ყოფილა მარქსის მატერიალიზმის გაკრიტიკება: საკმარისია ვინმე ინსტიტუტკასაგან გაიგონოთ რაიმე ქუჩური ბრალდება მარქსზე და ენგელსზე, საკმარისია ეს ქუჩური ბრალდება ფილოსოფიური რიხით გაიმეოროთ რომელიმე „ნობათის" ფურცლებზე რომ მაშინვე „კრიტიკოსის" სახელი დაიმსახუროთ. ერთი მითხარით ბატონებო: სად, როდის, რომელ ქვეყანაში სთქვა, ან რომელმა მარქსმა სთქვა, რომ „ჭამა განსაზღვრავს იდეოლოგიასო", რატომ ერთი წინადადება, ერთი სიტყვა მაინც არ გვიჩვენეთ მარქსის ნაწერებიდან თქვენი ბრალდების დასასაბუთებლათ? განა ეკონომიური მდგომარეობა და ჭამა ერთი და იგივეა? ამ ორი სრულიად სხვა-და-სხვანირი ცნების ერთმანეთში არევა, ვთქვათ, ეპატიება რომელიმე ინსტიტუტკას, მაგრამ როგორ მოხდა, რომ თქვენ „სოციალდემოკრატიის დამამქცევარნო", „მეცნიერების ამოღორძინებელნო", თქვენც ასე „უპრაგონოთ" იმეორებთ ინსტიტუტკების შეცდომას? ან როგორ უნდა განსაზღვროს ჭამამ საზოგადოებრივი იდეოლოგია? ჩაუკვირდით აბა თქვენს სიტყვებს: ჭამა, ჭამის ფორმა არ იცვლება, ძველათაც ისე სჭამდნენ, ღეჭამდნენ და ინელებდნენ საჭმელს, როგორც ეხლა; მაშინ როდესაც იდეოლოგიის ფორმა დღითი დღე იცვლება და ვითარდება: ანტიკური ფორმა, ფეოდალური, ბურჟუაზიული, პროლეტარული—ძი, სხვათა შორის, რა ფორმები აქვს იდეოლოგიას; განა წარმოსადგენია, რომ იმან, რაც, საერთოთ რომ ვთქვათ, არ იცვლება, განსაზღვროს ის, რაც დღითი დღე იცვლება? იდეოლოგიას ეკონომიური მდგომარეობა საზღვრავს—ამას მართლაც ამბობს მარქსი და ეს ადვილი გასაგებიც არის, მაგრამ განა ჭამა და ეკონომიური მდგომარეობა ერთი და იგივეა? რატომ მოგნდომებიათ თქვენი საკუთარი გაუგებრობა მარქსს მოახვიოთ თავზე?..

დავყვეთ ქვევით. ჩვენი ანარქისტების აზრით მარქსის მატერიალიზმი „იგივე პარალელიზმია"... ან კიდევ „მონისტიური მატერიალიზმი გლახათ დაფარული დუალიზმი და კომპრომისია მეტაფიზიკას და მეცნიერების შორის"... „მარქსი დუალიზმში ვარდება, იმიტომ რომ წარმოებო ურთიერთობას სახავს, როგორც მატერიალურს, და ადამიანის სურვილს და ნებას კი, როგორც ილიუზიას და უტოპიას, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა და არსებობს კი" (იხ. „ნობ." № 6 შ. გ.) ჯერ ერთი, რომ მარქსის მონისტური მატერიალიზმს არავითარი ერთობა არა აქვს უთავბოლო პარალელიზმთან: მაშინ როდესაც მატერიალიზმის აზრით მატერიალური მხარე, შინაარსი აუცილებლათ წინ უსწრებს იდეალურ მხარეს, ფორმას,—პარალელიზმი უარჰყოფს ამ შეხედულებას და ვაჟაჭრით ამბობს, რომ არც მატერიალური და არც იდეალური მხარე, არც ერთი მათგანი არ უსწრებს წინ ერთი მეორეს, ორივე ერთად, პარალელურათ მოძრაობენო. მეორეთ, რა კავშირი აქვს მარქსის მონიზმს დუალიზმთან, როდესაც კარგა ვიცით (თქვენც უნდა იცოდეთ ბ. ანარქისტებო, თუ მარქსიზმის ლიტერატურას კითხულობთ!), რომ პირველი ერთი პრინციპიდან გამოდის,—ბუნებიდან—რომელსაც მატერიალური და იდეალური ფორმა აქვს, მაშინ როდესაც მეორე ორი პრინციპიდან გამოდის,—მატერიალური და იდეალური—რომლებიც დუალიზმის აზრით ერმეორეს უარჰყოფენ? მესამეთ, ვინ სთქვა რომ ვითომ „ადამიანის სურვილს და ნებას მნიშვნელობა არა აქვსო"? სად ამბობს ამას მარქსი, რატომ არ დაგვისახელებთ? განა „18 ბრიუმერაში", „კლასთა ბრძოლაში", „სამოქალაქო ბრძოლაში" და სხვა ამისთანა ბროშურებში „სურვილებისა და ნების" მნიშვნელობაზე არ ლაპარაკობს მარქსი? აშ რატომ სცდილობდა მარქსი სოციალისტურათ გაევითარებინა პროლეტარების „ნება და სურვილები", რატომ ეწეოდა მათში პროპაგანდას, თუ „სურვილებისა და ნების" მნიშვნელობა არ სწამდა? ან რაზე ლაპარაკობს ენგელსი თავის ცნობილ წერილებში 1891—94 წ., თუ არ „სურვილებისა და ნების მნიშვნელობაზე?" ადამიანის სურვილები და ნება ეკონომიური მდგომარეობიდან იღებენ თავიანთ შინაარსს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ მათ არავითარი გავლენა არა აქვთ ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაზე. ნუ თუ ამ მარტივი აზრის მონელება ისე ძნელია ჩვენი ანარქისტებისთვის? დიახ, დიახ, მართალი უთქვამთ, რომ კრიტიკის მადა სხვაა და კრიტიკა კიდევ სხვა ..

კიდევ ერთი ბრალდება ბ. ანარქისტებისაგან. „ფორმა უშინაარსოთ წარმოუდგენელია"... ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ „ფორმა მოსდევს (უკან რჩება) შინაარს... ისინი „თანაარსნი არიან"... წინააღმდეგ შემთხვევაში მონიზმი აბსურდია (იხ. „ნობ". № 1 შ. გ.). ცოტა რამ არევიათ ბ. ანარხისტებს. შინაარსი უფორმოთ წარმოუდგენელია, მაგრამ არსებული ფორმა არასდროს არ შეესაბამება სავსებით არსებულ შინაარს, ახალი შინაარსი რამოდენიმეთ მუდამ ძველ ფორმაში ახვევია, რის გამოც ძველ ფორმასა და ახალ შინაარს შორის მუდამ კონფლიკტი არსებობს. სწორეთ ამ ნიადაგზე ხდება რევოლიუციები და ამაში გამოითქმის სხვათა შორის მარქსის მატერიალიზმის რევოლიუციონური სული. ანაქისტებს კი ეს ვერ გაუგიათ და დაჟინებით გვიმეორებენ: შინაარსი უფორმოთ არ შეიძლებაო...

ასეთია ანარქისტების შეხედულება მატერიალიზმზე. ჩვენ მეტს აღარაფერს ვიტყვით ამაზე. ისეც საკმაოთ აშკარაა, რომ ანარქისტებს საკუთარი მარქსი გამოუგონიათ, საკუთარი „მატერიალიზმით" ხელში და მას ებრძვიან. ნამდვილ მარქსს და ნამდვილ მატერიალიზმს ერთი ტყვიაც არ ხვდება...

რა კავშირია დიალექტიურ მატერიალიზმს და პროლეტარულ სოციალიზმს შორის?

**კობა**

# რუსეთი

**ჯარი და რევოლიუცია.** საითკენ იბრუნებს პირს ჯარი? რევოლიუციისკენ თუ რეაქციისკენ? ეს კითხვა აინტერესებს ახლა მთავრობასაც და მთავრობის მტრებსაც. მაგრამ ისე მტრებს არა, როგორც მთავრობას, რადგანაც პირველთათვის დიდი ხანია აშკარაა, რომ „მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს“ იმავ გლეხების და მუშებისაგან შემდგარი მხედრობა თავის ღვიძლ მონათესავე ხალხს უფრო სიამოვნებით მიეკედლება, ვინემ მათ მტერს და ორგულს მთავრობას. ამას მთავრობაც გრძნობს და ცდილობს, ფაცი-ფუცობს ყოველი ღონე იხმაროს საშინელი წამის მოახლოების წინააღმდეგ. დღე ერთია და ჩვენი ბაში-ბუზუკი მმართველების ლაქიები მილიონობით ბეჭდავენ და ავრცელებენ ჯარში საზიზღარი შინაარსის მოწოდებებს. „დაჰკათ რევოლიუციონერებს“!.. „ამოჟლიტეთ ებრაელები“!.. „სიკვდილი მეფის და მთავრობის მტრებს!“ ეს სიტყვები, ხელოვნურათ მოკაზმული და შემზადებული, გასაგები ენით დაწერილი და „ნამდვილ რუსთა“ ან „პატრიოტთა“ მიერ ხელ-მოწერილი დაბეჭდილებით ვრცელდება ჯარის კაცებს შორის. ზეპირ აგიტაციასაც არ აკლებენ ხელს მთავრობის დამქაშები: აქ ჩვენი ძველი ნაცნობი ვოსტორგოვი ეპიკპიკება „ქრისტეს მოყვარე“ მხედრობას და „ადვილათ გასაგებ“ ლექციებს უკითხავს; იქ რომელიმე მეორე „ქრისტეს მმოსავი წმინდა მამა“ მჭერმეტყველობს მეფის ერთგულებისა და „ქრისტეს მტერ რასკოლნიკების“ შესახებ, იქ კიდევ მთავრობის მიერ დაქირავებული ადვაკატი აჭარტალებს თავის ბინძურ ენას სალდათების ხალხის წინააღმდეგ დასაგეშებლათ, ამათ დაუმატეთ „განსწავლული“ ხულიგანი აფიცრების „სამეცნიერო“ ბაასი და თქვენ წინ აშკარათ გადაიშლება მთავრობის მიერ მოწყობილი ჯარის „განმანათლებელი“ ზომები და საშვალებანი. მაგრამ რამდენსაც მეტს ცდილობს მთავრობა, რაც უფრო წელებზე ფეხს იდგამს ჯარის თავისკენ მოსაზიდავათ, მხედრობა უფრო და უფრო შორდება მას, შემხუთავი დისციპლინის კვანძები ირღვევა, თავისუფლების ნიავი უფრო საგრძნობელათ იწყებს ქროლას და ჯარის მღელვარება და აჯანყება თან და თან მატულობს, ფრთას იშლის...

— 30 ივნისს კრონშტატის ყველა ფლოტის ეკიპაჟთა მატროსებმა ერთხმათ უარი სთქვეს და სევასტოპოლში მოკლულ ჩუხნინის პანაშვიდზე არ წავიდენ.

— კრონშტატის მატროსებსა და სალდათებს შორის ყრუ მძულვარებაა.

— 29 ივნისს პრეობრაჟენსკი და პეტროვსკი პოლკების სალდათებს უჩვეულო გამოცოცხლება ეტყობოდა. მთელი დღის განმავლობაში ჯარის სხვა და-სვა ნაწილებში მომხდარ არეულობაზე ლაპარაკობენ. გაზეთებს ხელიდან სტაცებდენ ერთმანეთს. მათ შეუერთდენ ვიბორგის პოლკის ჯარის კაცები და მიტინგი გაიმართა. გადასწყვიტეს ხშირათ შეიკრიბონ ხოლმე, ასეთი მიტინგებისათვის.

— თითქმის ყოველ დღე მოდის სათათბიროს წევრებს ყაზახების „ნაკაზები“ და პეტიციები. ამ დღეებში დეპუტატ აფანასიევს დონის ყაზახებიდან დეპეშა მოუვიდა. ყაზახები სამსახურიდან დათხოვნას სთხოვენ სათათბიროს და აღიარებენ, აღარ შეგვიძლია, გვეზიზღება პოლიციური სამსახური, თვალები აგვეხილა, მტერს და მოყვარეს ვარჩევთ და ხალხის ლალატი საზიზღარ ბოროტმოქმედებათ მიგვაჩნიათ.

— მოსკოვის გრადონაჩალნიკმა „უბრძანა“ გაფიცულ პურის მცხობლებს, — ან 24 საათში მუშაობას შეუდექით, ან არადა მოსკოვიდან გაგზავნილ იქნებით. „ბრძანებას“ გაფიცულებმა ყური არ ათხოვეს. პურს აცხობენ სამხედრო სამცხობელოებში ზოგან საწვრიმალოებსა და საჩაიებში. პური გირვანქა 9 კაპეიკამდინა ღირს. გრადონაჩალნიკებმა შტრაიკბრეხერებს (ვინც გაფიცვას ულალატებს) მფარველობა აღუთქვა.

ამას გარდა გრადონაჩალნიკმა შემდეგი ცირკულიარით მიმართა პოლიცმეისტრებს და ბოქაულებს:

გავალებთ თქვენ, სასტიკი თვალ-ყური ადევნოთ ბულკის და პურის საწყობ დაწესებულებებში მოსამსახურე პირების მოქმედებას. თუ იგინი შეეცდებიან მუშაობის შეწყვეტას — თქვენი ვალია მოთავეები, აგიტატორები დაატყვევოთ, რომ შემდეგ თავიანთ სახლებში გაისტუმროთ.

— მოსკოვში რევოლიუციასთან ბრძოლის კავშირმა თავის კრებებზე დაადგინა დააარსოს კავშირის სარაიონო აქტიური განყოფილებები.

— ზავოდებისა და ფაბრიკის პატრონები უსაყვედურებენ მოსკოვის ადმინისტრაციას. გაფიცულებს ძალიან „რბილათ“ და გულკეთილათ ექცევითო.

— როგორც გაზეთები და კერძო წყაროები გადმოგვცემენ, რუსეთის რამდენიმე ქალაქში ანარქისტ-კომუნისტებს იმდენათ მოუბეზრებიათ თავი მუშებისათვის, რომ მათ წინააღმდეგ სერიოზული მოძრაობა დაწყებულა. ერთ მიტინგზე ანარქისტებს მუშებისათვის წინადადება მიუციათ, წავიდეთ და იარაღით ხელში კაპიტალი დავიპყროთო. მუშებს უარი უთქვამთ.

— ვლადიკავკაზში სამი არტილერისტი დაუპატიმრებიათ და სამხედრო სამართალში მიუციათ. მოსალოდნელია, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტონ.

— მოსკოვის სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენელთა თანდასწრებით ხალხის შეუშვებლათ განიხილა საქმე ჟურნალ „პრავდა“-ს რედაქტორ-გამომცემლის ვ. ი. კოჟევნიკოვისა რომელსაც ბრალი ედებოდა 129 სტ. ძალით. კოჟევნიკოვს სასამართლო პალატამ მიუსაჯა წელიწად ნახევარს საპყრობილეში ჯდომა და ამ ხნის განმავლობაში გაზეთის დახურვა.

— გაზ. „პუტი“ გადმოგვცემს ცნობას იმ მღელვარების შესახებ, რომელსაც ჰქონებია ადგილი 28 ივნისს მეორე როტის პირველი კაზაკების პოლკის ჯარის კაცთა შორის. უკმაყოფილების მიზეზი ის ყოფილა, რომ მთავრობას უვარგისი საბნები დაურიგებია ჯარის კაცთათვის, რის შესახებაც ჩქარა გაუცხადებიათ ჯარის უფროსისთვის. უკანასკნელი დაპირებია: „შუამდგომლობას აღვძრავ უმაღლესი მთავრობის წინაშეო“. მღელვარება ამით არამც თუ არა ქრება, დღითი დღე მატულობსო დასძენს გაზ. „პუტი“

გაზ. „რუს. უწყებ.“ დეპეშით ატყობინებენ ვორონეჟიდან: „აგრარული მოძრაობა დღითი დღე მატულობს. მრავალრიცხოვანი გლეხობისგან შემდგარი ბრბო გარს ეხვევა მემამულეების სასახლეს, ძალით აღებინებენ მოსამსახურეებს მუშაობაზედ ხელს, იტაცებენ პურს, არბევენ და წვავენ.

# მუშათა ცხოვრება.

თფილისის კარეტნიკ მუშების მოთხოვნილებანი:

1) შემოღებულ იქმნას 9 საათის სამუშაო დღე ყველა ამ პროფესიის ქარხნებსა და სახელოსნოებში.

2) მიემატოს ჯამაგირები: ვინც მანეთზე ნაკლებს ღებულობს 40 კ., ვინც მანეთზე მეტს — 30 კაპ. ხოლო ვინც 2 მანეთზე მეტს 20 კ.

3) მოსპობილ იქმნას ნაჭრობით მუშაობა და ამის მაგივრათ შემოღებულ იქმნას დღიური მუშაობა.

4) შეგირდების ვადა არ აღემატებოდეს სამს წელიწადს.

5) შეგირდებათ ღებულობდენ არა უმცირეს 15 წლისა.

6) დაწესდეს შეგირდებისათვის ჯამაგირი: პირველ წელიწადს 30 კაპ., მეორე წელიწადს 40 კაპ., მესამე წელიწადს — 50 კ., ხოლო ვადის გათავების შემდეგ ჩაირიცხოს ნამდვილ ხელოსან მუშათ.

7) შეგირდები ხაზეინების ხარჯით ორ კვირაში ერთხელ აბანოში უნდა იგზავნებოდენ.

8) აკრძალულ იქმნას უზრდელი მოპყრობა შეგირდებისადმი.

9) აკრძალულ იქმნას ხაზეინებთან ხელზე სამსახური.

10) აკრძალული იქმნას შეგირდებისათვის 20 გირვანქაზე უმეტეს ტვირთის გადატან გადმოტანა.

11) დათხოვნა ძველ მუშებისა და მიღება ახლებისა დამოკიდებული უნდა იქმნას მუშებზე

12) შაბათობით სახელოსნოები უნდა ილაგებოდეს ნახევარის სა თით ადრე მუშაობის გათავებამდე.

13) გაფიცვის დღეებში მუშებს უნდა მიეცეს სრული ხელფასი.

---

### ღია წერილი

(ბ. გ. ტ-ძას შიმართ).

**ძ. ქუთაისი.** (პოლიციის ქუჩა, მიქიაშვილის გადასახვევი). როგორც საზოგადოთ, ისე არც ჩვენ ქუჩაზე მცხოვრებნი ჩამორჩენია დღევანდელ განმათამისუფლებელ მოძრაობას და რითაც კი შეეძლო თანაუგრძნობდა მას. სანამ რეაქციის უძლური ბრჭყალები მოედებოდა, ყველამ ვიცით მთელ იმერეთში ხალხი ჩამოშორებული იყო ყოველგვარ პოლიციურ დაწესებულებებს და დემოკრატიული პრინციპით განაგებდნენ თავიანთ საქმეებს. იყო არჩეული, ეგრეთ წოდებული ათისთავები და ასისთავები.

სეკტემბრის შუა რიცხვებში 1905 წ., ამ ქუჩაში-მიმჩნეულ ბინაზედ გაირჩა საქმე ბ. გიორგი ტუკვაძის (რომელსაც ბრალს დებდნენ ადგილების წართმევისათვის, ამავე ქუჩის მცხოვრებლები: არსენ აფხაიძე, ილია გამთენაძე და ზაქარია სამანიშვილი.) მედიატორები არჩეული იყო ორივეს მხრით სურვილისამებრ. კრებას დაესწრო ასამდე კაცი. მაგრამ, როცა ბ. გიორგი ტუკვაძემ დარწმუნდა, რომ ის მართლაც ბრალდებული იყო, შეურაცჰყო მედიატორეები — როგორც თავის ისე ბრალმდებელის მხრით არჩეული და მოშორდა კრებას. კრებამ საჭიროთ დაინახა გარჩეულიყო საქმე და ადგილები ჩაბარებოდა ზემო აღნიშნულ პირებს. (ეს კრება მესამეჯერ იყო მოწვეული ხალხის განზრახვით.) არჩეულ იქმნა კომისია ხუთი კაცისგან, რომელსაც ევალებოდა საქმის სისრულეში მოყვანა. კომისიამ დავალება ერთი კვირის განმავლობაში შეასრულა.

მოაჰლოვდა თუ არა დეკემბრის და იანვრის ტანჯული დღეები, ბ. გიორგი ტუკვაძე გამოვიდა ბრძოლის ასპარესზე და შემოგვითვალა მუქარა. „თუ ჩემს ადგილებს ისევ უკან არ დამიბრუნებთ ჩემით მოგისევთ კაზაკებს და მუსრს გავავლევინებ თქვენთვის-ო“... მცხოვრებლები შველას მთხოვდენ, მაგრამ, მე რა შემეძლო როცა მას მთელი ქუჩა შეეშინებინა. მხოლოთ მე შევუთვალე ბ. გიორგი ტუკვაძეს ბ. გ. ბ—ლის პირით, არ აყოლოდა პოლიციურ პროვოკაციას და არ ჩაედინა რაიმე ბოროტი განზრახვა. ბ. გიორგი ტუკვაძეს სამაგიერო პასუხი არ გაუცია, რამაც გამოიწვია მცხოვრებლების გადახიზვნა და ფეხშიშველა ღარიბ ბავშვების თოვლ-ჭყაპში მოგზაურობა. დღეს როცა რეაქცია ცოტათ მაინც-შესუსტდა და დროებით იკმარა გადაწვა-განადგურება ?) — ბ. გიორგი ტუკვაძე კიდევ არ ცხრება და აშინებს ბევრნაირ ხრიკებით აღნიშნულ პირებს. ჩვენ ურჩევთ ბ. გიორგი ტუკვაძეს, თუ რამე შესასწორებელი აქვს ზემო აღნიშნულ პირებთან, კიდევ სამედიატორო სამართალს მიმართოს. თუ არა და დანარჩენი ჩვენ გვეცოდინება.

ადგ. მცხ მინდობილებით

**დონ-ლანი.**

---

# დეპეშები

**(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)**

**6 ივლისი.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სხდომა. თავმჯდომარე მურომცევია. პეტრუნკევიჩის პროექტმა დუმაში დიდი არეულობა გამოიწვია. მემარცხენეები სასტიკათ კიცხავენ პროექტს. კადეტებს უნდათ რამე ნაირათ გაიყვანონ პეტრუნკევიჩის პროექტი. დეპ. უშაკოვის აზრით პეტრუნკევიჩისგან შედგენილი პროექტი დამშვიდების მაგივრათ უფრო არევს აგრარულ მოძრაობას. გლეხები იფიქრებენ, რომ დუმა მემამულეებს მიემხრო. ორატორი წინააღმდეგია პეტრუნკევიჩისგან შეტანილი შესწორების. მუხანოვი პეტრუნკევიჩს ემხრობა, სოციალისტების და მშრომელთა ჯგუფის წინააღმდეგია. თავმჯდომარე კენჭს უყრის პროექტის პირველ ოთხ სტრიქონს. მემარჯვენენი და მთელი ცენტრი ემხრობა პეტრუნკევიჩს. 197 კაცი პეტრუნკევიჩისგან შესწორებული პროექტის მომხრეა, 100-კი წინააღმდეგია. პროექტის მეორე ნაწილიც მიიღეს. მესამე ნაწილის შესახებ ილაპარაკა სტახოვიჩმა, მისი აზრით პროექტის მესამე ნაწილიდან უნდა გამოუშვან ის ადგილი, სადაც დუმას და სამინისტროს შორის უთანხმოებაზეა ლაპარაკი. სტახოვიჩის ლაპარაკის დროს მშრომელი ჯგუფი და სოციალისტები ზალიდან გადიან. პეტრუნკევიჩი სტახოვიჩის საპასუხოთ ამბობს, რომ მინისტრებმა თითონ გამოიწვიეს უთანხმოება. სამინისტროს პოლიტიკის წყალობით ავსტრიას და გერმანიას მოლაპარაკება აქვთ რუსეთის თაობაზე. დუმა ასეთ მოლაპარაკებას რუსეთისთვის სამარცხვინოთ სთვლის. სტახოვიჩის აზრით დუმის გარეკას, სჯობს რუსეთის ტერიტორია უცხო ქვეყნების ჯარებმა დაიპირონ.

სტახოვიჩის წინადადება დუმამ უარყო. მიიღეს ისევ პეტრუნკევიჩის პროექტი. პროექტის მეოთხე ნაწილის გარჩევის დროს წინადადება შეაქვთ: ის ადგილი სადაც მიწების შესყიდვაზე არის ლაპარაკი გამოტიონ, რადგანაც ეს საკითხი ჯერ დუმას არ განუხილავს. ეზერსკი სოციალდემოკრატიულ ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია არ მიიღებს მონაწილეობას პროექტის განხილვაში, რადგანაც პროექტში დუმა ხალხს უსაყვედურებს. სოც. დემ. ფრაქცია პროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას. „ჩვენ ნება გვაქვს მივმართოთ ხალხს და ავუხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება.“ 66 კაცი კენჭის ყრაში მონაწილეობაზე უარს ამბობს. დუმა იღებს პეტრუნკევიჩის ტექსტს. ბევრი ბაასის შემდეგ მიღებულ იქნა პეტრუნკევიჩის ტექსტი თავიდან ბოლომდის. — საათ ნახევრის დასვენების შემდეგ სხდომა განახლდა პეტრუნკევიჩი კითხულობს პროექტს. ბონდარევი ამბობს, რომ მშრომელთა ჯგუფი ვერ უღალატებს თავის პოლიტიკურ რწმენას და კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღეს (მემარცხნეები ტაშს უკრავენ). გალევსკი (პოლონელი) არ იღებს მონაწილეობას კენჭის ყრაში. ცენტრიდან 124 კაცმა მიიღო პროექტი, წინააღმდეგი არიან 53 სოციალისტები და მემარჯვენენი. 101 კაცი მშრომელი ჯგუფიდან და პოლონელი დეპუტატები არ იღებენ მონაწილეობას კენჭის ყრაში.

ტექსტი მიიღო დუმამ, შეტანილ იქნა წინადადება: 1) გამოქვეყნებულ იქნას სახელმწიფო სათათბიროს დადგენილება და 2) გაეგზავნოს „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ ლასაბეჭდათ შინაგან საქმეთა მინისტრს ეს წინადადება მიიღო 127 კაცმა — წინააღმდეგია 137 კაცი. კენჭის ყრა არ არის კანონიერი.

---

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**